ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თსუ-ს ელექტრონული ბაზის ინტერფეისის განახლება

ხელმძღვანელი: ლიანა ლორთკიფანიძე

შემსრულებელი: გრიგოლი ბაბაჯანიანი

თბილისი, 2017

თსუ-ს ელექტრონული ბაზა (sms.tsu.ge) სთავაზობს სტუდენტებს მიიღონ ან შეცვალონ მიმდინარე სემესტრთან დაკავშირებული ინფორმაცია, მაგალითად: ლექტორებისა და საგნების სია, არჩეული საგნების ცხრილები, ზოგადი ინფორმაცია სტუდენტის შესახებ და ა.შ. რადგანაც ამ ბაზას აქვს სასარგებლო მისია, იგი პოპულარულია თსუ-ს სტუდენტებში. მაგრამ მას აქვს გარკვეული ნაკლოვანებები, რომლების შესახებ ხშირად ლაპარაკობენ სტუდენტები. ერთ-ერთი (შეიძლება ითქვას ერთ-ერთი ძირითადი) ნაკლოვანება არის მომხმარებლის ინტერფეისის (უფრო ზუსტად დიზაინის) მოძველებულობა. ეს ნაკლოვანება ართულებს ბაზასთან მუშაობას.

ამ ნამუშევარში წარმოდგენილია გაფართოება, შექმნილი ვებ ბრაუზერებისათვის (Chrome & Opera). გაფართოება აგვარებს არსებულ პრობლემას და ამატებს საჭირო ფუნქციონალს, რომლის არარსებობაც იწვევდა მომხმარებლების (სტუდენტების) უკმაყოფილობას.

გაფართოება (Extension) წარმოადგენს პატარა ზომის პროგრამას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს და გააუმჯობესოს (გაამდიდროს) ბრაუზერის ფუნქციონალურობა.

ჩვენმა გაფართოებამ ელექტრონული ბაზა გახადა უფრო სასიამოვნო (ლამაზი), ხოლო დამატებული ფუნქციონალი, მაგალითად: ცხრილში საგნების დალაგება კვირის დღეების მიხედვით, ცხრილის შენახვა (png ფორმატში), მისი დაბეჭდვა (ვებ გვერდზე დამატებითი ელემენტების გარეშე) და ასევე ფილტრაცია, დაეხმარება სტუდენტს იპოვოს საჭირო ინფორმაცია უფრო სწრაფად, ვიდრე ეს იყო შესაძლებელი სტანდარტული დიზაინით.

გაფართოების შექმნისთვის გამოყენებულია შემდეგი ენები/ბიბლიოთეკები:

- HTML/CSS
- Javascript
- jQuery
- Html2canvas

Html2canvas არის ბიბლიოთეკა, რომელიც იძლევა სურათის გადაღების საშუალებას.

გარდა ცხრილის გვერდისა, შეცვლილია ასევე სხვა გვერდებიც, მაგალითად სტუდენტის სისტემაში შესვლის გვერდი, ანკეტის მთავარი გვერდი, სასწავლო ბარათის გვერდი, ინდივიდუალური ცხრილის გვერდი.

სასწავლო ბარათის გვერდზე შეცვლილია გავლილი საგნების ცხრილების წვერო (header), ის ყოველთვისაა გამოჩენილი მიუხედავად იმისა, თუ რამდენია საგნების რაოდენობა, რაც უფრო კომფორტულია. ასევე განახლებულია ფერები და ფონტები.

შექმნილი გაფართოება ხელმისაწვდომია Chrome ვებ მაღაზიაში (Web Store), გაფართოების ბმულია: [sms.tsu.ge New Style](#).

რადგანაც ვებ-ბრაუზერი Opera, დაწყებული ვერსია 15-დან მუშაობს იმავე ძრავაზე, რაც Chrome (Webkit ძრავაზე), ამიტომ ცვლილებების გარეშე მოხერხდა მისი გაშვება Opera-შიც.

ბმული Opera Add-On-ზე: [გაფართოების ბმული](#).

გამოყენებული ლიტერატურა

- What is browser Extension?
- Google Chrome extension
- Конец легенды: Опера меняет движок
- Html2Canvas Library
- WebKit Engine